დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა ეთიკის ნორმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს წესიერების, პატიოსნების, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, საზოგადოდ მიღებული კულტურის, ზნეობისა და ეთიკის ნორმებითა და პრინციპებით. სამსახურის მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანამშრომელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებები და არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობასა და სამსახურის იმიჯზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

მუხლი 2. ეთიკის ნორმების რეგულირების სფერო და მიზანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეთიკის ნორმები (შემდგომში – ეთიკის ნორმები) ადგენს თანამშრომელთა ქცევის სტანდარტებს.

2. ეთიკის ნორმების მიზანია ქცევის ისეთი წესების დამკვიდრება, რომლებიც ხელს უწყობს:

ა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და პატივისცემას;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობების პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად შესრულებას;

გ) პროფესიულ და პირად საქმიანობაში თანამშრომლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელად დაცვას;

დ) თანამშრომელთა საქმიანობაში თანამდებობის შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას;

ე) სამსახურისა და თანამშრომელთა საქმიანობის მიმართ საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას;

ვ) თანამშრომელთა მიერ დისციპლინის დაცვას.

მუხლი 3. თანამშრომელთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები

თანამშრომლის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. თანამშრომელი უნდა მოქმედებდეს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ცენტრის შინაგანაწესის შესაბამისად.

მუხლი 4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა

1. თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს საქართველოს კონსტიტუტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით

აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და უნდა იცავდეს მათ. პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაო პრინციპი სავალდებულოა თანამშრომლისათვის.

2. თანამშრომელმა პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პერსონალური ინფორმაციის დაცვა.

3. თანამშრომელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას. თანამშრომელმა უნდა დაიცვას ყველა კანონი და რეგულაცია, რომლითაც უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობები ყველა პირისთვის, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა ნიშნით. დაუშვებელია თანამშრომელმა განახორციელოს რაიმე სახის დისკრიმინაციული ქმედება.

4. თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს და გაითვალისწინოს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და თავისებურებები.

მუხლი 5. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

თანამშრომელი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ობიექტური, მიუკერძოებელი და სამართლიანი უნდა იყოს და ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით.

მუხლი 6. პროფესიონალიზმი

თანამშრომელი ვალდებულია ეფექტიანად, პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

მუხლი 7. საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა

დაუშვებელია თანამშრომლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შემცველი, სხვა კონფიდენციალური ან/და არასაჯარო ინფორმაციის გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება.

მუხლი 8. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა, პერსონალურ მონაცემთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის უგულებელყოფით მესამე პირთათვის გამჟღავნება ან არასამსახურებრივი მიზნით გამოყენება.

მუხლი 9. კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. კოლეგებთან ურთიერთობისას თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს პატივისცემისა და პროფესიული სოლიდარობის პრინციპით.

2. თანამშრომელი:

ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის პატივისცემისა და ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;

გ) თავს უნდა იკავებდეს კოლეგის საქმიანობაში თვითნებური ჩარევისაგან;

დ) არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც გაართულებს ან შეაფერხებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;

ე) ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს უკმაყოფილებას კოლეგის შეცდომასა და ხარვეზებზე;

ვ) უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.

3. თანამშრომელმა წინასწარგანზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში.

4 საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს სამსახურის საუკეთესო რეპუტაციის პრიორიტეტით. ის პატივისცემით უნდა მოეპყრას თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად უნდა გამოხატავდეს დასაბუთებულ კრიტიკას. თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები.

5 დაუშვებელია დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციული შეხედულებების გამოხატვა.

6 თანამშრომლის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული წერილობითი ან სიტყვიერი განცხადებები უნდა იყოს საქმიანი, კორექტული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამსახურის ინტერესებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ეს განცხადებები შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც სამსახურის პოზიცია.

7 თანამშრომელს, რომელიც აკეთებს განცხადებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, უფლება აქვს, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მიაწოდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იმ მოცულობის ობიექტური ინფორმაცია, რომელიც მოცემული დროისათვის მისთვის არის ცნობილი.

მუხლი 10. შეუფერებელი მდგომარეობა

1. თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ უნდა იმყოფებოდეს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია თანამშრომლის ღირსებისათვის. ამასთან, თანამშრომლის ვალია, ღირსეულად იქცეოდეს სამსახურებრივი საქმიანობის მიღმაც და უფრთხილდებოდეს სამსახურის რეპუტაციასა და სახელს.

2. თანამშრომელი არ უნდა ჩაერთოს დანაშაულებრივ, არაკეთილსინდისიერ, ამორალურ ან ნებისმიერ სხვა შეუფერებელ ქმედებაში, რომელიც ლახავს სამსახურის ინტერესებს ან/და სახელს.

3. თანამშრომელს ეკრძალება ბილწსიტყვაობა ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, კონფლიქტური ვითარების შექმნა ან/და კონფლიქტის ექსკალაცია, რაც ლახავს სამსახურის ინტერესებს ან/და სახელს.

მუხლი 11. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

1. თანამშრომელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის და კანონით დადგენილი წესით.

2. დაუშვებელია:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი სარგებლისთვის, მათ შორის, ფინანსური და სხვა კანონიერი ვალდებულებებისთვის თავის არიდება;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ნებისმიერ პირზე უკანონო ზემოქმედებისთვის;

ე) თანამშრომლის მიერ ისეთი პირობის დადება ან ვალდებულების აღება, რომლის განხორციელებაც არ შედის მის უფლებამოსილებაში და შესაძლოა ლახავდეს სამსახურის ინტერესს;

ვ) თანამშრომლის მიერ ნებისმიერი პირისთვის უპირატესობის მინიჭება პირადი გამორჩენის გამო;

თ) თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშვნის ან დაწინაურების საფუძველი იყოს მისი ნათესაური ან სხვა ახლო კავშირი სამსახურის სხვა თანამშრომელთან;

ი) თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი დროის არასამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენება არასაპატიო მიზეზით.

მუხლი 12. სამსახურის ქონებით სარგებლობა

1. თანამშრომელი ვალდებულია გაუფრთხილდეს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, გამოიყენოს ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები.

2. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის.

3. თანამშრომელი ვალდებულია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

4. თანამშრომელი ვალდებულია სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დააბრუნოს მასზე მინდობილი სამსახურებრივი ქონება.

მუხლი 13. ჩაცმის სტილი

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თანამშრომელი ვალდებულია გამოიყურებოდეს მოწესრიგებულად და დაიცვას ოფიციალური ჩაცმის სტილი.

მუხლი 14. შეუფერებელი საქმიანობა

თანამშრომელი ვალდებულია, თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ობიექტურად ეჭვქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა ან გავლენა იქონიოს მის სამსახურებრივ საქმიანობაზე, ასევე სამსახურის ავტორიტეტსა და სახელზე.

მუხლი 15. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. თანამშრომელმა უნდა დაიცვას ''კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით, შინაგანაწესით და ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

2. თანამშრომელს არ უნდა ჰქონდეს კერძო ინტერესები, რომლებიც შეუთავსებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

3. თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მიმართ ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი, ვალდებულია კანონით დადგენილი წესით განაცხადოს თვითაცილების შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში.

4 თანამშრომელი (პროექტის მენეჯერი), რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრში საგრანტო პროექტ(ებ)ს, ვალდებულია განაცხადოს საგრანტო პროექტის ფარგლებში ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს გრანტის გამცემს/დონორ ორგანიზაციას და ასევე, ცენტრის ხელმძვანელობას.

5. დაუშვებელია სამსახურში ან/და მის ფარგლებს გარეთ თანამშრომელი ახორციელებდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია სამსახურის ინტერესებთან.

6.დაუშვებელია თანამშრომლის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება;

7. თანამშრომელმა არ უნდა მოითხოვოს ან/და არ უნდა მიიღოს ნებისმიერი სახის მატერიალური სიკეთე იმ პირისგან, რომელიც დაინტერესებულია მისი, როგორც თანამშრომლის მხრიდან რაიმე ქმედების განხორციელებით.

8. თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავოს საჩუქრის მიღებისაგან, ყველა იმ პირის მხრიდან, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია თანამშრომლის წარმოებაში არსებული საქმით, ან თუ ამგვარი ქმედება წარმოადგენს თანამშრომელზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას, ან შესაძლოა მომავალში მოახდინოს ასეთი ზეგავლენა.

მუხლი 16. პასუხისმგებლობა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის

ეთიკის ნორმების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა.